ქ. წამებულის გამზ. 65
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 274 74 08
ვებ-გვერდი: www.ganc.ge

ქართულ - ამერიკული საექთნო
საზოგადოებრივი კოლეჯი

65 K. Tsamebuli Ave.
Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 274 74 08
web-site: www.ganc.ge

შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის

ბრძანება #02-08

ქ. თბილისი 2 ოქტომბერი 2017 წ.

შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი

1. დამტკიცდეს შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი;

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მაია ჯაში

დირექტორი

დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2017 წლის 02 ივნისის #02-08 ბრძანებით

შ.პ.ს. „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“

პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი მიზნად ისახავს კვალიფიციური და სათანადო ცოდნისა და გამოცდილების, ასევე, საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პირების შერჩევას.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV და V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი.

2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადება და შერჩევა

1. კოლეჯის ვებ-გვერდზე ქვეყნდება პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, კანონმდებლობითა და სტანდარტით დადგენილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაცია, პირობები და განცხადებების მიღების

დაწყებისა და დასრულების ვადები. აღნიშნული ინფორმაცია კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით დამატებით შესაძლებელია გავრცელებულ იქნეს სხვა საშუალებებითაც.

2. კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარდგენილ დოკუმენტაციას განიხილავენ კოლეჯის დირექტორი და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი.

3. დასაკავებელ თანამდებობაზე კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენისას, შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებელი ინიშნება დირექტორის ბრძანებით და მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

4. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის სტაჟსა ან/და შესაბამისი მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამოცდილებას.

5. შესაბამისი პროფესიული სტანდარტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, დაწესებულების მიერ დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 4. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირები

1. პრაქიკულ კომპონენტ(ებ)ს კლინიკურ/პრაქტიკის ბაზაზე განახორციელებენ კლინიკის მიერ შეთავაზებული ან/და კლინიკაში მომუშავე სპეციალისტები.

2. პრაქტიკის განმახორციელებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ პირებთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

მუხლი 5. წარსადგენი დოკუმენტაცია

ვაკანსიის დაკავების მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - CV;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დედანთან ერთად. დედანი უბრუნდება);

დ) შესაბამისი კვალიფიკაციით, შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის დროებითი წესი

1. საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის გავლამდე პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება პირდაპირი წესით, კოლეჯის დირექტორისა და სხვა შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და პროფესიულ საზოგადოებაში იმ კადრების მოძიებით, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონდმებლობის მოთხოვნებს.

2. ამ მუხლის შესაბამისად შერჩეული პირები განცხადებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლად დასაქმების თაობაზე.

3. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის პროფესიული განათლების მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, რის საფუძველზეც ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 7. წესში ცვლილების შეტანა

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი გაუქმება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.